ISSN 0132-5965

ეროვნული ბიბლიოთეკა

572
1984

დილა

1984 აგვისტო № 8



აგვისტო

ამ თვეში ჩვენს ქვეყანაში თავიანთ ზეიმს აღნიშნავენ

რკინიგზელები—5
მშენებლები—12
ავიატორები—19
მეშახტეები—26
კინემატოგრაფისტები—27

ჩემო სამშობლო მხარეო

ლევან ფრუიძე

ამბავი რაჭისა

საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე — რაჭა დასავლეთ საქართველოში, მდინარე რიონის სათავეებში მდებარეობს.

რიონი უხსოვარი დროიდან იყო ცნობილი ფაზისის სახელწოდებით. მდინარე ფაზისზე იდგა ქალაქი ფაზისი — შავი ზღვის დიდი, ხომალდუხვი და ხალხმრავალი ნავსადგური...

შავი ზღვის სანაპიროებს კარგად იცნობდნენ ნაოსნობაში განაფული ბერძნები, კოლხეთის თვალშეუდგამ ქედებზე კი მათ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, თუმცა ის კი იმთავითვე იცოდნენ, რომ ფაზისი ფასის მთიდან გამოდიოდა (ამ მთას ახლაც ასე ეწოდება). იმ უძველეს წარსულში, ოცდაცამეტ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, როცა ჯერ კიდევ გრძელდებოდა კაცობრიობის ბავშვობა, როცა ადამიანის გამჭრიახობის, ნიჭისა და ცოდნის გამოვლენას ღვთის წყალობად თვლიდნენ, ჩვენი წინაპრები კეთილმოწყობილ სოფლებსა და დაბა-ქალაქებში ცხოვრობდნენ, იცოდნენ ლითონის მოპოვება და მოხმარება, ხვნა-თესვა, ბაღ-ვენახების გაშენება, ფეიქრობა, მკურნალობა, წამლების შემზადება, ნაოსნობა და სხვა მრავალი რამ, რითაც ბერძნებსაც კი ანცვიფრებდნენ. ბერძნული მითი არგონავტების შესახებ სხვა არაფერია, თუ არა კოლხეთის სინამდვილის ხატოვანი ასახვა. კოლხეთის განუყრელი ნაწილი იყო რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღალმთიანეთიც, სადაც ჩაისახა და განვითარდა მელითონეობა, მოიშინაურეს პურეული კულტურები და ვაზის უიშვიათესი ჯიშები.

დიდი ქართველი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი ასე განმარტავს სახელწოდება „რაჭას“: „ხოლო სახელი მოიგო გარემოსთა დიდროვანთა მთათაგან და შინაგან ღრმის ადგილებისა მიერ: „იხილე, რა ჭაა ადგილი ესე!“

ხალხშიც ასე სჯეროდათ.

დღევანდელი მეცნიერები ამ მოსაზრებას უარყოფენ, თუმცა ჯერჯერობით თვითონაც ვერ შეთანხმებულან, მაინც საიდან მომდინარეობს ეს სახელწოდება. ზოგი „რაჭას“ რაჭის პირველი ერისთავის რატის სახელს უკავშირებს, ზოგი სვანურ „რაჭუს“ (კურდღელი), ზოგი — სატომო სახელს „ჭანს“ და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ რაჭა დიდრონი მთებითაა მოზღუდული, იგი მიუვალი სრულებითაც არ იყო. ჩრდილო კავკასიის ველების შავ ზღვასთან დამაკავშირებელი საერთაშორისო გზები რაჭის გადასასვლელებზე — ფასის, ნოწარის, კირტოშის, მამისონის და სხვა უღელტეხილებზე გადიოდა. რუსეთში მიმავალი საქართველოს ელჩები და მეფეები ხშირად რაჭის მხრიდან ამჯობინებდნენ მგზავრობას. მცველებად და მებარგულ-მეგზურებად კი აქაურები — ღებელები, ჭიორლები და გლოლელები მიჰყავდათ.

თბილისიდან რაჭისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა დღეს ცხინვალს გაივლის და ერწოს გადასასვლელით ონში ჩადის. მშვენიერი გზატკეცილია ქუთაისიდან ტყიბულის გავლით ნაქერალას ქედზეც. ადრე კი აქ მხოლოდ საურმე გზა და საცალფეხო ბილიკები იყო.

რაჭაში ადამიანს უხსოვარი დროიდან უცხოვრია. მეცნიერთა აზრით ქვის იარაღის მაკეთებელი ადამიანი რაჭის მაღალმთიანეთში სულ ცოტა ათიათასი წლის წინათ სახლობდა.

პირველი ლითონი, რომელიც კაცმა გამოიყენა, თვითნაბადი სპილენძი იყო, მერე რომელიღაც გენიალურმა გამომგონებელმა რბილი და ნაკლებმოსახმარი სპილენძის და კალის შედნობით ბრინჯაო მიიღო და ამის შემდეგ კაცობრიობის განვითარება საოცრად დაჩქარდა.

არქეოლოგიური კვლევებით დამტკიცებულია, რომ რაჭის მთები ძველთაძველი მაღაროებითაა მკერდდაღარული.

სოფელ ღების ზემოთ, რიონის სათავეებისაკენ მდებარეობს ბრილის ველი. კოკის-

ეხატება ედუარდ ამგოკაძე

კ. მარქსის ს ს. საკ. სსრ
სახელმწიფო ბ. სტუდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირული წვიმების ჟამს ნიაღვრებს იქიდან ათასწლეულთა მანძილზე ჩამოჰქონდათ ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, მძივები, ბრინჯაოს ბალთები და სხვა საკვირველი საგნები. ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ღების სკოლაში ერთი ცნობისმოყვარე ყმაწვილი — გერმანე გობეჯიშვილი სწავლობდა, შემთხვევით ნაპოვნ ბალთებს, პასტის მძივებს და სხვისთვის გამოუსადეგარ სხვა ნივთებს აგროვებდა და ნატრობდა მათი საიდუმლო ამოეხსნა. შემდეგ მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა და სწავლული არქეოლოგის დიპლომით მშობლიურ სოფელში დაბრუნებულმა აღმოაჩინა და შეისწავლა ამჟამად უკვე მსოფლიოში სახელგანთქმული ბრილის სამაროვანი. აქ შუაბრინჯაოს ხანაში მეტალურგთა დიდი დაბა გაჩენილა, რომელიც ორიათას ხუთას წელზე მეტ ხანს მოქმედებდა და ბრინჯაოს ნაწარმით ამარაგებდა მრავალ ქვეყანას. სამარხების შესწავლამ ნათელი გახადა, რომ ძველი მელითონეები შეძლებულად ცხოვრობდნენ, ბრილს საქმიანი სავაჭრო კავშირები ჰქონდა შორეულ ფინიკიასთან და ეგვიპტესთან.

ბრილის ბრინჯაოს წარმოების კერა არც მას შემდეგ ჩამქრალა, როცა ჩვენმა წინაპრებმა რკინის მოპოვება და დამუშავება დაიწყეს. მაგრამ ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში, როცა კავკასიის მთაგრეხილს მოაწყდა მომთაბარე და მეომარი ტომების— ჰუნების ლაშქარი, ბრილი გაცამტვერდა და აღარც არასოდეს გამართულა წელში. სამაგიეროდ მე-20 საუკუნის პირველ ნახევრამდე შემოინახა თავი სოფელ წედისის რკინის მოპოვებისა და წარმოების ერთ-ერთმა პირველადმა კერამ. წედური ფოლადი — „გამჭრელი რკინა“ თუ შრომისა და ბრძოლის იარაღები საქართველოს ფარგლებს გარეთაც ცნობილი იყო.

ლეჩხუმთან ერთად, რაჭა პურეული კულტურების მოშინაურების ერთ-ერთი უმთავრესი კერაა. მსოფლიოს ყველა ბოტანიკოსმა იცის ხორბლეულის უძველესი ჯიშები მახა და ზანდური, რომლებიც რაჭა-ლეჩხუმის ყოფაში უკანასკნელ ხანებამდე შემორჩა. მახასა და ზანდურის შემოსულ თავთავებს უიშვიათესი იარაღით — შნაკვით კრეფდნენ, რომლის მსგავსი მხოლოდ ესპანეთში — ასტურიაში უნახავს აკადემიკოს ვავილოვს.

ათასწლეულთა სიღრმიდან მომდინარეობს რაჭის მევენახეობა-მეღვინეობა. თითქმის ყველა სოფელს ჰქონდა ყურძნის საგანგებოდ გამოყვანილი ჯიში, ამიტომ აქ ვაზი ზღვის დონიდან 1200 მეტრამდე ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდა. მაღალმთიან სოფლებს ვენახები ცივი ქარებისაგან დაცულ, მყუდრო ხეობებში ჰქონდათ.

საქვეყნოდ არის სახელგანთქმული რაჭული ღვინო „ხვანჭკარა“, რომელიც ქვემო რაჭაში, სოფელ ხვანჭკარაში, და კიდევ — სოფლებში ჩორჯოსა და ტოლაში, ჟოშხასა და ჭყვიშშიც მოდის. მისი მომცემი ჯიშები: ალექსანდრეული, მუჯურეთული და კეთილშობილი საფერავი მაღალხარისხოვან ყურძენს იძლევიან მხოლოდ სამხრეთით მიქცეული, „მზიგული“ ფერდობების ნიადაგებზე.

იყო დრო, როცა მამაპაპური წესით შერეულ ერთგვარ ღვინოს აფთიაქებში ისე ყიდდნენ, როგორც წამალს.

ძველად რაჭაში იყო ჩვეულება: ბავშვი რომ შეეძინებოდათ, მის სახელზე ღვინოს დააყენებდნენ, ქვევრში წლობით აძველებდნენ და ქორწილს ამ ზღაპრული სასმელით გადაიხდიდნენ. ზოგიერთი მევენახე თავის ჭირის სუფრისთვისაც აძველებდა ღვინოს. ასეთი სასმელით გადახდილი ლხინი თუ ჭირი ოჯახს დიდად ესახელებოდა.

გეოგრაფიული და ისტორიულ-ენთოგრაფიული თვალსაზრისით რაჭა სამ ნაწილად იყოფა: მთის რაჭა, ზემო რაჭა და ქვემო რაჭა.

ქვემო და ზემო რაჭის საზღვარია ხიდიკარის კლდეკარი, რომელსაც შუაზე ჰკვეთს ბობოქარი რიონი. მდინარით გაფატრულ პიტალო კლდეს მარჯვნივ გზატკეცილი მიუყვება, მარცხნივ გაუქმებული თეშშარის ხავსიანი კვალია. ჩაქცეული ნახიდვრის თავზე ერთმანეთს გასცქერის ქვითკირით ამოშენებული სადარაჯო გოდოლები. აქ ოდესღაც მებაჟე-მეციხოვნენი იდგნენ და უნებართვოდ ძეხორციელს არ ატარებდნენ.

X საუკუნის დამლევს მეფე ბაგრატ III-მ დააარსა რაჭის საერისთაო, რომლის მფლობელებმა დიდი გავლენა მოიპოვეს საქართველოს სამეფო კარზე. „ერისთავი რაჭისა და თაკუერისა“ კახაბერ კახაბერის ძე თამარის მეფედ კურთხევის ზეიმში მონაწილეობდა და ლიხთ იმერეთის უზენაეს ფეოდალებთან ერთად თამარს სამეფო გვირგვინი დაადგა. შესაძლოა ამ ისტორიული ფაქტით იყოს შთაგონებული რაჭის თითოეულ ოჯახში დღესაც სათუთად შემონახული თქმულება კახაბერთა კარზე თამარის აღზრდის შესახებ.

გარდასული საუკუნეების მოწმეებად რაჭის მიდამოებს შემორჩა უამრავი ძეგლი — მძლავრი ციხე-სიმაგრეები (მინდაციხე, კვარაციხე, დეკციხე, ზნაკვის ციხე), კლდეკარები — ხიდიკრისა და კლდისუბნისა, მრავალი კოშკი და პიტალო კლდეებზე ქვითკირით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამოშენებული გამოქვაბულები — „სახიზაროები“. ყველა სოფელს ჰქონდა თავისი ეკლესია. იყო ბევრი მონასტერიც. რომელთაგან შემორჩენილია მხოლოდ სამი: ჭელიშის, სორისა და ველტყევისა. ჭელიშის მონასტრის მდიდარ წიგნთსაცავში 1902 წელს აღმოჩნდა უძველესი ქართული ქრონიკის „მოქცევაი ქართლისაის“ ძვირფასი ხელნაწერი.

ხალხური ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშებია რაჭული საცხოვრებელი სახლები და შრამელ-ბურულები, ანუ სამეურნეო ნაგებობები. ნაგებობანი ძირითადად ქვიტკირისა იყო. მრავალსართულიან სახლებს მრგვლად გამოყვანილი დუროები ამშვენებდა. დუროებს უწინ საბრძოლო დანიშნულება ჰქონდა, იქედან მომხდურს ქვებს უშენდნენ, ისარსა და ტყვიას ესროდნენ. უბნები ერთმანეთს უკავშირდებოდა ქუჩებით, რომლებსაც „ტყუს“ — ტყუპს ეძახდნენ. ამჟამად ძველი საცხოვრებელი ნაგებობების ნაშთები და „ტყუბები“ შემორჩენილია გლოლასა და ღებში.

გავრცელებული იყო კიდევ „შუა სახლი“ — „კათხა სახლი“. იგი ულურსმოდ, ხის ძელებისაგან ან გარანდული ფიცრებისაგან იყო ნაგები, კოროლით ან ყავრით დახურული. კოროლი ხორბლის უძველესი ჯიშის — ზანდურის ღეროების შეკვრას ეწოდებოდა.

რაჭა მცირემიწიანი კუთხეა, ამიტომ სახნავ-სათეს და სავენახე ადგილებს კარ-მიდამოებისათვის არ იყენებდნენ, საეზოედ მნირ, დაქანებულ ფერდობს გაავაკებდნენ — „მოზვინავდნენ“ და ბაღნარად აქცევდნენ. რაჭველთა შრომისმოყვარეობა საარაკო იყო, მაგრამ დაუღალავი გარჯის მიუხედავად, ადგილობრივ გლეხს სარჩო წლის მანძილზე არ ყოფნიდა. გვიან შემოდგომით, როდესაც მოსავალს დააბინავებდნენ — „ალოს ჩაკარებდნენ“, აიკრავდნენ ხოლმე გუდა-ნაბადს და „მოსაგებში“ წავიდოდნენ. მთელი ზამთარი, ვიდრე სოფლად საგაზაფხულო სამუშაოები არ დაიწყებოდა, რაჭველი ხურო, მჭედელი, მზარეული, მეპურე, მეკურტნე, მესტვირე და სხვა მრავალი ხელობის მცოდნე ერთგულად შრომობდა მეზობელ თუ შორეულ ქალაქებსა და სოფლებში. მათი ალალმართლობა, პატიოსნება და უბადლო ოსტატობა ახლაც სამაგალითოა და თქმულებაანდაზებადაა გარდასახული.

ხალხური პოეზია თავისებურად განავითარეს რაჭველმა მესტვირეებმა. რაჭულ ხალხურ სიმღერებს („ასლანური მრავალჟამიერი“, „დალიე“, „რაეო“, „მაღლა მთას მოდგა“, „ტყეში ქალები წასულან“, „ქვედრულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდიდებულა“ და სხვ.) ღირსეული ადგილი უჭირავს მუსიკალურ ფოლკლორში.

რაჭას რაჭველი არ უნდა მოაკლდეს

საბჭოთა ხელისუფლებამ მრავალი სიკეთე მოუტანა რაჭას. დღეს ონი და ამბროლაური თანამედროვე ქალაქები არიან. ურავლიხეთში დაიწყო დარიშხანის მოპოვება და დამუშავება, ირში — ბარიტისა. აშენდა ყურძნის გადამმუშავებელი ოთხი ქარხანა. კეთილმოწყობილ გზატკეცილებზე ნაირნაირი ავტომანქანები და ავტობუსები დაქრიან. ამბროლაურის აეროდრომი სამგზავრო თვითმფრინავებს იღებს. აიგო მრავალი სკოლა, საავადმყოფო, კინოთეატრი, კლუბი, კულტურის სახლი.

მთის რაჭაში მდებარეობს საკავშირო მნიშვნელობის კურორტი შოვი. ეს ახალი კურორტია და მისი აღმოჩენა ერთი შემთხვევის წყალობით მოხდა. მეფის დროს სოფელ გლოლას თავს აფარებდა ექიმი რევოლუციონერი შამშე ლეჟავა. მასპინძლები მას შოვში მალავდნენ, სადაც გლოლელებს სათიბები და სამასალე ტყეები ჰქონდათ. რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, 20-იან ნლებში, შამშე ლეჟავამ, ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვის მეოხებით, შოვი მშრომელთა ჯანმრთელობის კერად აქცია.

ზემო რაჭაშია საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კურორტი—სოფელი უწერა; ქვემო რაჭაში განვითარების დიდი შესაძლებლობები აქვთ შაორს, სანალიკეს.

იყო დრო, რაჭის მაღალი მთები და ვიწრო ხეობები მოსახლეობას ვერ იტევდა და აქაურები მეზობელ მხარეებში ესახლებოდნენ, XIX საუკუნის შუა ხანებიდან ჩრდილო კავკასიაშიც კი გადადიოდნენ და იქ მკვიდრდებოდნენ. ამაზე წერდა ილია ჭავჭავაძე — ქართული მოსახლეობა ძირითადად საქართველოში უნდა გადანაწილდესო.

ახლა მთის რაჭის სოფლები თითქმის დაცარიელდა. ქალაქურ ცხოვრებას ეტანებიან რაჭველები... რაჭას რომ რაჭველი არ მოაკლდეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო შესაბამისი დადგენილება და, უეჭველია, მალე მთიელი მთას დაუბრუნდება.

ნიკორწმინდა

ძველი ციხე-სიმაგრეების, ეკლესია-მონასტრების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების გარდა რაჭის მიწაზე შემორჩენილია ქართული სატაძრო ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუშები, მათ შორის რაჭის ერისთავთა ყოფილი სავანის — სოფელ წესის ძირს, მცირე ველზე ყელმოღერებული ბარაკონის ტაძარი და დიდებული ნიკორწმინდა.

დაახლოებით 1014 წელს აღმართული ნიკორწმინდის ტაძარი ჭეშმარიტად სამი დიდოსტატის შემოქმედებაა — ხუროთმოძღვრის, ჩუქურთმისმჭრელის და მოქანდაკისა. მაგრამ მათი ვინაობა შთამომავლობისათვის უცნობია — თავიანთი სწორუპოვარი ქმნილება მათ ქართველი ხალხის ნიჭიერების მარადიულ სიმბოლოდ უანდერძეს მომავალ თაობებს.

...ნიკორწმინდელები იხსენებენ: დიდი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე გაოგნებული იდგა ტაძრის ფერხთით. მზემ სხივები დაიკრიბა და შაორის ველების მიღმა წინვნარების სიმწვანეში ჩაინავლა, გალაკტიონი კი იდგა და ლოცვასავით ჩურჩულებდა...

გალაკტიონ ტაბიძე

ქებათა ქება ნიკორწმინდას

მაქვს მკერდს მიდებული
ქნარი, როგორც მინდა.
ჩემთვის დიდებული
სხივი გამობრწყინდა.
მკვიდრად ააშენა,
ვინაც ააშენა
და ცით დაამშვენა
დიდი ნიკორწმინდა.
გზნებით დამკარგავი
გრძნეულ ჩუქურთმებით,
ქარგით დამქარგავი
ნაზი შუქურთმებით,
ნეტა ვინ აზიდა,
ან როგორ აზიდა,
რა ხელმა აზიდა
მაღლა ნიკორწმინდა!
რა განძი გვქონია,
რა მხნე, რა მდიდარი,
ელერს ქვის ჰარმონია—
დარობს რამდი დარი.
კარგად გამოჭკვეთა,
ვინაც გამოჭკვეთა,
სიბრძნით გამოჭკვეთა
მძლავრი ნიკორწმინდა.
აქ რომ თაღებია,
სვეტთა შეკონება,
ისე ნაგებია,
სიზმრის გეგონება.
ნეტა ვინ ააგო,
რა ნიშმა ააგო,
რა მადლმა ააგო
სვეტი—ნიკორწმინდა!
გრძნობ, ვით დიადია
თორმეტი სარკმელი,
ხაზებში ანთია
ცეცხლი მისარქმელი:
ნეტა ვინ აანთო,
რომ გრძნობით აანთო
და წლებს გადაანდო
ნათლად ნიკორწმინდა!

ხვეულთ დიადება
ვხედავ – რა უხვია,
დრომ მას დიადემა
კრძალვით შეუხვია.
ნეტა ვინ მოჭქარგა,
და როცა მოჭქარგა,
შიგ მიჭკარგ-მოჭკარგა
გზნება—ნიკორწმინდა.
მკვეთრი და მოქნილი
ხაზთა დასრულება
არის ამოდქმნილი
ნატვრის ასრულება.
ეს ის სიმკვეთრეა,
ეს ის სიმდიდრეა,
რაითაც მკვიდრია
ძეგლი—ნიკორწმინდა.
შენის სულმნათისად
ასვლა ეროვანი:
ყელი გუმბათისა
მაღალეროვანი,
ცამდის აღერილი,
ნებით აღერილი,
სათნოდ აღერილი
გშვენის, ნიკორწმინდა!
მზერა ქართულია
სივრცის დაუნჯებით,
თვალი გართულია
ფრთიან ფასკუნჯებით:
ფრთები, ფრთები გინდა,
კიდევ ფრთები გვინდა,
გინდა დაეუფლო
სივრცეს, ნიკორწმინდა!
შენ, ფრთამოღუღუნეს
ჟამთა სიმაღლეზე,
ჩვენი საუკუნე
გიცავს, უახლესი:
მძლავრი ხელოვნება,
ხალხის ხელოვნება—
ბრწყინავს საქართველოს
ქებად ნიკორწმინდა!

მხატვარი გიორგი როინიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზია ჩხეტიანი

გიგას არდადეგები

ზაფხულობით ჩვენი გიგა
აღმა-დაღმა დაქრის,
აღარ უწევს წერა-კითხვა
აღარავის ხათრით,
გაღმა მთაზე ცხვარი მიჰყავს,
დასდევს სოფლის ნახირს.
ხან წყალშია,
ხან ზვარშია,
ბაღშიც ვხედავთ ხშირად,
მობურთალთა ამქარშია,
დადის ყირა-ყირა.
სათიბშია, სამკალშია,
ო-ჰო-ჰო, რა ამბავშია.

— რა ბიჭია,
რა ბავშვია!—
ისმის აქაც, იქაც.
— მაგრამ...
კითხვაც რომ უყვარდეს,
არ აწყენდა გიგას,—
კანტი-კუნტად,
აქაც, იქაც,
გიგას ჭორავს ვიღაც...
დღე დღეს მისდევს,
ეს აგვისტოც
აღარ გასტანს დიდხანს,
— წიგნს ჩახედე, გიგა, ბიჭო!
დაგავიწყდა კითხვა!

ცირა ქიტიაშვილი

ოქროხელა

შარიშურობს შალაშინი
და ხელეჩო გვიჭრის,
ზვინად დადგა ბურბუშელა,
ნახერხი და ხიჭვი—
ჩვენს ეზოში გადმოსახლდა
ოქროხელა ბიჭი.
სად გაიგებთ კარის ჭრიალს
ან კამოდის ჭრიჭინს,
დააჩუმა ძველი ტახტი
და სკამებიც ფიჭვის,
უკვირს ყველას, ყველას უკვირს
ცეროდენას ნიჭი.
იღიმიან მოხუცები—
ახლა რაღა გვიჭირს!
შარიშურობს შალაშინი
და ხელეჩო გვიჭრის,
მოდით, ნახეთ ნაკეთობა
ოქროხელა ბიჭის.

მხატვარი ნანა სულემენაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟეთევან ჭილაშვილი

ვაჯოს ძიღისპიჩული

ზღაპარი

ვატო დასაძინებლად დაწვა. დაბალ სკამზე ჩამომჯდარმა ბებომ ზღაპარი წამოიწყო.

— ბებო, ეგ არა, დათუნას ზღაპარი მიამბე,—თავქვეშ ხელი ამოიდო ვატომ.

— დათუნასი? ნეტავ ეს რომელიღა ზღაპარიაო?—გაიკვირვა გულში ბებომ, მაგრამ შვილიშვილს ხათრი არ გაუტეხა, რაც იქნება, იქნებაო, და ახალ ზღაპარს უხმო.

— იყო ერთი დათვი.

— დათვი კი არა, დათუნა,—შეუსწორა ვატომ.

— დათვი რამ მომაგონა, დათუნა,—მოიბოდიშა ბებომ.—ეს დათუნა ცხოვრობდა დაბურულ ტყეში.

— დათუნას კუს მანქანა ჰქონდა.

ვატომ ერთი პატარა სათამაშო კუს მიამსგავსა და კუს მანქანა დაარქვა.

— ჰქონდა, როგორ არა ჰქონდა! დააქროლებდა აღმა-დაღმა.

— ჰერიიი, არემარე თან მიჰქონდა. ხი, ხი, ხი!—ჟღურტულებდა ვატო.

— ჰოდა, ერთხელ ერთ მშვენიერ მწვანე ბუჩქს ისე მაგრად დაეჯახა, რომ ძირფესვიანად ამოაგდო.

— მილიციელი კურდღელი სად იყო? დაუსტვინა?

— დაუსტვინა და ეგრე?!. იქაურობა გააყრუა. შუქნიშანი წითლად ენთო, ის კი მიჰქრის...

— ჰერიიი...

— ცქვიტამ აღარ დააყოვნა და უკან გამოუდგა.

— ბებო, ცქვიტა ვინ არის?

— მილიციელ კურდღელს ცქვიტა ერქვა.

— ჰმ, ცქვიტა!—ჩაიცინა ვატომ—ქუდი ეხურა?

— ეხურა, მაშ არ ეხურა?! აი, წამოეწია დათუნას და სადაც არის კისერში ჩაავლებს...

— ვერ დიჭერს! დათუნა ცაში ახტა!—სიტყვა მოუჭრა ვატომ. ბებო ამას კი არ მოელოდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და ახლა ცაში დაატრიალა ამბავი.

— ცქვიტამ დიდი, ძალიან დიდი ჯოხი მოიტანა და ცას შეუდგა, დათუნავ, ახლა ეე ძირს ჩამოდიო.

— არა, არ ჩამოვა.—გულიანად ხითხითებს ვატო.

— ჩამოხვალო!—რაკი-რუკი აუყენა ცქვიტამ ჯოხს.—ვაი, ფეხი, ვაი კუდი!—ხტუნაობდა დათუნა.

— არაფერიც არა სტკიოდა,—ჯიუტობდა ვატო.

— ცქვიტამ, რაკი ჯოხით ვერა გააწყო რა, ადგა და ისიც ცაში ახტა.

— დაიმალება დათუნა, ვერ იპოვის,—ვატომ თავზე საბანი წაიხურა.

— ხო! დათუნამ უმალ ვარსკვლავთან მიირბინა—დამმალეო. ვარსკვლავმა უთხრა, აბა, როგორ დაგმალო, ვერა ხედავ როგორ ვბრწყინავო?

— ბებო, უთხარი საბანქვეშ შემოძვრეს.

— ვარსკვლავმა დათუნა ლეგა ღრუბელთან გააგზავნა.—ღრუბელო, ღრუბელო, დამმალეო,—შეევედრა დათუნა.

ვატომ საბნიდან თავი ამოყო.

— ღრუბელმა,—რაშია საქმეო?—ცქვიტა მომდევსო.—ალბათ დაიშავე რამეო:—ჯერ დამმალე და მერე ყველაფერს გიამბობო.—ყელი გამოუწია დათუნამ და ვიდრე ღრუბელი პასუხს ეტყოდა, იმის კალთაში გამოეხვია. ცქვიტამ აქეთ ირბინა, იქით ირბინა. სად არის დათუნა! უცებ იმის კუდს შეასწრო თვალი,—გარეთ დარჩენოდა,—გიპოვე დათუნაო.

— კუდიც დამალა, ვერ იპოვის.— თანაუგრძნობს დათუნას ვატო.

— მართლაც ვერ იპოვა. ისეთი ნიავქარი ამოვარდა, რომ ეს შენი ლეგა ღრუბლის ქულა თავის დათუნიანად გზას გაუყენა. დათუნამ მაინც მოასწრო, თათი გამოყო, ცქვიტას ქუდი მოხადა და დაუქნია, კარგად იყავიო. გასკდა გულზე ცქვიტა.

ვატო გულიანად ხითხითებს:—მერე აღარ გაეკიდა ცქვიტა?

— რაღას მიეწეოდა. ადგა და ისევ მიწაზე ისკუპა. ბზრიალ-ტრიალით წამოვიდა, და ვინ იცის რა მოსდებოდა, რომ ერთ მაღალი ხის კენწეროს არ გამოსდებოდა იმისი ქამარი. ქრის ქარი და აქეთ-იქით ქანაობს ცქვიტაც.

— როგორც საქანელაზე!

— ხოო, სწორედ ისე.

— დათუნა რაღა იქნა?

— დათუნაც ძალიან დაიღალა, ღრუბელს სთხოვა ჩემს ბუნაგთან მიმიყვანეო,— სად არის შენი ბუნაგიო?—ტყისპირზე პანტის ხეებთანაო. ლეგა ღრუბელი ნება-ნება დაეშვა... პანტის ხის კენწეროს თავზე გაჩერდა და დათუნას უთხრა, ჩახტიო...—აქედან რა ჩამახტუნებსო?—შეშინდა დათუნა.—თუკი იქიდან ამოხტიო?—მე როდის ამოვხტი, ვატომ ძალით ამომახტუნაო.—ხოდა უთხარი, ახლაც ვატომ ჩაგახტუნოსო.

ჩუ, ჩუ, ჩუ...—თითი ტუჩებთან მიიტანა ბებომ. ვატომ უკვე დაძინაო.

ლეგა ღრუბელი მაინც უჯავრდებოდა დათუნას, როგორც გინდა, ისე ჩახტიო. ნისლი კი არა ვარ, მიწას გავეკრა, სადაც არის ჟუჟუნა წვიმად უნდა წამოვიდეო!

სხვა გზა არ იყო, ბებომ ხელი მიაწვდინა დათუნას და ციმციმ ჩამოსვა.

— მე რაღას მემართლებითო? ასე მტოვებთ საკონწიალოდო?—გამოსძახა ცქვიტამ.

ბებომ ისიც **იხსნა, თავზე** დათუნას წართმეული ქუდი **დაახურა** და უთხრა: აბა, ფეხაკრეფით შეიპარეთ ზღაპრების გუდაშიო.

— ჯერ დათუნამ კეთილი ინებოს და იმ ძირფესვიანად ამოგდებულ მწვანე ბუჩქს ისევ გაუმაგროს ფესვი, წყალიც დაუსხას, და მერეო,—განზე გადგა ცქვიტა.

— მართალი ხარო,—დაეთანხმა ბებო.

დათუნამაც კეთილი ინება, ბუჩქს მიხედა; ცქვიტაც მიეხმარა.

— ვატოს ხომ ეტყვით დილით, მე და დათუნა როგორ დავმეგობრდითო,—დაიჩურჩულა ცქვიტამ.

ბებომ თავი დაუქნია, ზღაპრების გუდას პირი მოუკრა და ყველა პატარას უსურვა ძილი ნებისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ მუხურაძე

დარიგება

დათვმა ჭამა ტკბილი,
წამოსტკივდა კბილი.
ექიმს დაუძახა
და დაუღო ხახა.
ამოაძრო კბილი,
დარჩა მარტო ლრძილი.
დარიგა დათვი:
დაიხსომე, რაც ვთქვი.
მოუარე კბილებს—
როცა შეჭამ ტკბილებს,
ჰე, გახსოვდეს, მუდამ—
კბილს გახვნვა უნდა.

ბეჟან სვანიძე

არ ვარჯიშობს დილით ხვთისო

არ ვარჯიშობს დილით ხვთისო,
არც დარბის და არც დახტისო,
არც ტანს იზელს უთენია,
ეშინია ცივი წყლისო...
ამიტომაც სულ ცივდება,
როცა ცოტა ქარი ქრისო.
სულ ახველებს: ხმა აქვს უშნო,
ხრინწიანი დედაბრისო...
ახი არის, რომ სუყველა
ხრინწო ხვთისოს ეძახისო!

ჯემალ მეტრეველი

ტრაბახი

მამამ ბაღში თუთის ტოტზე
ჩამოშიბა საჭანელა,
ხან ქარივით დავაქროლებ,
ხან ვირწყვი ნელა-ნელა.
თან ყურს ვუგდებ ჩიტთა სტვენას
და ფოთლების ხმატკბილ
არ მსურს, თორემ, რომ მინდოდეს,
ავფრინდები ოსმოსშიაც.

მხატვარი ნანა ჭურღულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გიგაური

ლახტი

ქამრით შოლტავენ წვივებს,
ხან სწრაფად,
ხანაც დინჯად,
ყველა ერთგულად იცავს
თავის საბრძოლო მიჯნას.
დამარცხებულნი—წრეში,
გამარჯვებულნი—გარეთ
ატკაცუნებენ თასმებს,
აბრიალებენ თვალებს.
ფრთაგაშლილობა შვენით
და შემართება ორბის,
ნაბიჯს არ დგამენ უკან,
ძმობილი იცავს ძმობილს.
ვუმზერ ცეცხლოვან თამაშს,
ბიჭებს—აშოლტილ ალვებს,
ატრიალებენ ქამრებს,
აბრიალებენ თვალებს.

დავით ხუროძე

ჟირაფი

დაცხა...
და მოგვენატრა
წყლის დალევა კოკით...
მივაშურეთ ქას, მაგრამ
გამწყდარიყო თოკი.
ბედზე გაჩნდა ჟირაფი
კეთილი და წყნარი,
წაიგრძელა კისერი
როგორც ოწინარი,
ამოგვილო ჭიდან
ყინულივით წყალი...

მანანა კაკაჩია

ზარმაცი

რა ჭკვიანი ფრინველია.
ძედიკონა, თუთიყუში,
სულ ყველაფერს იმეორებს,
რასაც ჩუმად ეტყვი ყურში.
გაკვეთილებს დავასწავლი
და დავისვამ გვერდით კლასში,
მიკარნახებს, გაწითლებას
გადამარჩენს იმდენ ხალხში.

კარლო არსენაშვილი

ტყეში

თქვენხელა რომ ვიყავი, სკოლაში მასწავლიდნენ უფროსებისთვის ყურადღებით მოესმინა. ერთხელ ფიქრმა გამიტაცა, პაპაჩემის ნათქვამს გულისყური ვერ მივაყოლე და აი, რა გადამხდა.

ვანო პაპამ თქვა, ტყეში წავიდეთ, შეშისა და ფიჩხის მოსატანადო. გარიჟრაჟზევე გავემზადეთ: გუდაში ჩავაწყეთ პური, ყველი და მწვანილეული. მხარზე მათარა გადავიკიდე.

პაპამ ნიშა ცხენი ღრიჭინაში შეაბა. წალდი და ცული ჭალებთან წნელებით დაამაგრა.

იცით, რა არის ღრიჭინა? ღრიჭინა ორ პატარა ბორბალზეა შემდგარი, ხელნებს ბოლოებში კავები აქვს. კავები ურემშია ამოყრილი. ძირი მიწას ეყრდნობა. მიდის ასეთი ურემი და ისმის „ღრიჭ-ღრიჭ". ამიტომაც ჰქვია ღრიჭინა.

თან გავიყოლეთ ჩვენი მურია. მე კოფოზე ვიჯექი. სადავეები მეპყრა. პაპა უკან მოგვდევდა. მურია ხან წინ გაგვიძღვებოდა და ხან ღრიჭინის გვერდით მოძუნძულებდა.

სოფელი იღვიძებდა. ცურდაპატარავებული ძროხები ხბორებს ემშვიდობებოდნენ და საძოვრისაკენ მიეშურებოდნენ. კონტშებმული ღორები და ბურვაკები მიწას დინგით ჩიჩქნიდნენ. ინდაურები კიკვიკვებდნენ. ყვიტყვიტებდნენ თეთრი ბატები და რუსთან დაღერღეტობდნენ. დიასახლისები ეზოებს გვიდნენ. მზე მაღლა და მაღლა იწევდა. კვირიონები მინდვრიდან ტყისკენ მიფრინავდნენ.

კოლმეურნეობის სამჭედლოსთან ფეხებგაკოჭილი კამეჩი წამოექცია და ყარით ნალებს აკრავდნენ.

სამჭედლოს ზემოთ დიდი კაკლის ხე იდგა. გავუსწორდით კაკალს და შემოგვესმა:

— სად მიდიხართ, ვაუკაცებო?

— შენა ხარ, დიანოზ!? — უპასუხა პაპამ, — ჩვენ ტყეში მივდივართ, შენ რაღას აკეთებ მანდა, ყვავივით რო შემომჯდარხარ?

— სამურაბე კაკალსა ვკრეფავ. — ჩამოგვძახა ძია დიანოზმა.

სახერხზე ბლომად მორები ეწყო და პატარა გორებად ნახერხი ეყარა. მხერხავებმა მუშაობა შეწყვიტეს.

— საით გაგიწევიათ, ვაუკაცებოო?

— ტყეშიო. — უპასუხა ვანო პაპამ.

— აბა, ხელი მოგემართოთო.

სოფლის თავში, სამმილიანი წყაროდან ცივი ნაკადი გადმოჩქეფდა. გოგო-ბიჭები კოკებით შეგროვილიყვნენ. „მოდით, მოდით, თქვენ ტყეში მიგეჩქარებათო", და რიგი დამითმეს. მათარა წყლით ავავსე. ნიშა ცხენი კამკამა აუზს დაეწაფა.

მერე რიყე გადავჭერით, აღმართზე ავედით და გზა გავაგრძელეთ. გზას მაღალი, ფრიალო კლდე დაჰყურებდა. კლდის ძირს ანწლი ჩასდევდა. მოვუხვიეთ და კლდე ახლა ფერდობმა შეცვალა. გზამ სასაფლაოს ჩაუარა. კიდევ ასიოდე მეტრი გავიარეთ და

ტყეში შევედით. ტყის ფრინველებს გაღვიძებოდათ. „გუგუ-გუგუ!“ იძახდა გუგული. ტყეში გრილოდა. გზა თანდათანობით დავიწროვდა. ბოლოს ხრამს დაემსგავსა. აქეთ-იქით ქვებგამოშვერილი თიხნარი, ხეების ფესვებიც მოჩანდა, მაღლა კი ტყე იყო.

თავი ფიქრებს მივეცი. გამახსენდა თბილისი, ჩემი თანაკლასელები — წარმოვიდგინე, როგორ მოვუყვებოდი ტყის ამბავს.

ერთ ადგილას გზას ბილიკი ეყოფოდა და მცენარეებში უჩინარდებოდა. პაპამ მითხრა შენ გზაზე იარე, მე ამ ბილიკით ვივლიო, — მერე კიდევ რაღაც თქვა, მაგრამ მე ფიქრებში ვიყავი გართული და ვერ გავიგონე.

რაც უფრო ღრმად შევდიოდი ტყეში, უფრო და უფრო მატულობდა სიგრილე. ვიარეთ, ვიარეთ. ხრამის მსგავსი გზა გავიარეთ და პატარა მინდორი გამოჩნდა. ოდესღაც ის ხეებით იყო დაფარული, ახლა კი ახოდ ქცეულიყო. მერე მზით განათებული წიფლნარი დაიწყო. დაბლა შარშანდელი ნიოელი ფოთოლი ეყარა. კიდევ შემხვდა პატარა მინდორი — ისიც ახოდ ქცეული. პაპა არ ჩანდა. ცოტა ხანში მუხნარში შევედით, არც იქ იყო არავინ.

— ვანო პაპავ! — დავიძახე.

„ვანო პაპავ! ვანო პაპავ! ვანო პაპავ!..“ გამომეხმაურა ტყე. მურიამაც შემომხედა, ცხენმა ყურები ცქვიტა.

სად არის პაპა?

საგონებელში ჩავვარდი. „მოხუცი კაცია მეთქი — ვფიქრობდი, — ვაი თუ გული გაუხდა ცუდად, ან იქნებ ნადირი გადაეყარა“. შემეშინდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ოთხმოცს ბევრი აღარაფერი უკლდა. მერე თავი ვიგონებუგეშე, ალბათ დაიღალა, ხის ძირში წამოწვა და ჩაეძინა-მეთქი.

მაგრამ მალე ისევ ავფორიაქდი. მურიაც აწრიალდა, უკან გაიქცა, მერე ისევ ღრიჭინასთან მოირბინა და ყეფა ატეხა. „ვინ იცის, დაეძინა და მგელი გადაეყარა“. — გავიფიქრე და თავქვე დავეშვი. ცხენსაც მოუსვენრობა დაეტყო, აფრუტუნდა და ნაბიჯს აუჩქარა. აგერ გამოჩნდა წეღან გამოვლილი მინდორი, შემდეგ ისევ წიფლნარი დაიწყო, შემდეგ ისევ ახო შემოგვხვდა. პაპაჩემი არ ჩანდა. დავინახე ის ბილიკიც, რომელზეც პაპამ გადაუხვია. გამახსენდა წაკითხული, რომ ძაღლებს შეუძლიათ დაკარგული ადამიანების პოვნა. „აბა, მურავ! ბილიკით იარე და პაპა მოძებნე“, — ხელი ბილიკისაკენ გავიშვირე. მურიამ შეყეფა, ბილიკისა და გზის გასაყართან ჩაცუცქდა.

„მურიავ! შე ოჯახქორო! პაპა მოძებნე“.

მურიამ შემომხედა და ახლა წინა ფეხებზე დადო თავი.

ღრიჭინის მობრუნება გადავწყვიტე. საგავეებს მოვზიდე. ცხენმა შემოტრიალება სცადა, მაგრამ ჩახრამული გზა ვიწრო იყო, ცხენი დფერდებულ გვერდზე ავიდა, მაგრამ შემდეგ ნაბიჯი ვეღარ გადადგა.

— აჩუ, აჩუ! — ცხენმა წაიფორხილა. ღრიჭინა ვიწრო, ჩახრამულ გზაში გარდიგარდმო ჩაიჭედა.

ახლა რაღა მეშველება? ვერც წინ მივდივარ, ვერც უკან. მეტი რა ჩარაა, აქ უნდა გავჩერდე.

...და ამ დროს პაპაც გამოჩნდა. გზას ჩამოსდევდა ჯოხის ბრჯენით.

მე რომ დამინახა, ცრემლები წასკდა: — სადა ხარ, ბალღო? ხომ გითხარი, მანასეულ ახოსთან მომიცადე-მეთქი. მანასეული ახო პირველივე მინდორია.

— ფიქრებში ვიყავი გართული და მანასეული ახო არ გამიგონია-მეთქი. — ვუთხარი.

— უნდა ყურადღებით იყო! — თქვა პაპაჩემმა, — როცა გელაპარაკებიან, სხვა რამეზე არ უნდა ფიქრობდეო.— შემდეგ ხელნებიდან ცხენი გამოუშვა. ცხენი ფერდიდან ჩამოვიდა, ღრიჭინა ჩვენ მოვაბრუნეთ, ისევ შეაბა ცხენი პაპამ და გავწიეთ ტყეში.

მოვჭერით წიფელი, ტოტები ავასხიპეთ. წიფელი შუაზე გადაჭრა პაპამ. დავუდეთ ღრიჭინაზე ეს გადანაჭრები და ფიჩხი, და შინისაკენ გავწიეთ.

ახლაც, როცა რაიმეს ვერ გავიგონებ ხოლმე, ის დღე მახსენდება, როცა მე და პაპაჩემი ერთმანეთს ავცდით ჩვენი სოფლის ტყეში, და ჩემს თავს ვკიცხავ უყურადღებობისათვის.

მხატვარი **თამაზ ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ДИЛИС“ МОАМАГЕ

გარდაიცვალა კუკური გოგიაშვილი.

რა გულსატკენი, რა სამწუხარო ამბავია! ნუთუ „დილის“ რედაქციაში აღარასოდეს შევხვდებით ქართველი ბავშვების დიდ მოამაგეს, რომელიც თითქმის 40 წლის მანძილზე განუყრელი იყო ჩვენი ჟურნალისაგან! ნუთუ მისი სახელი ამიერიდან მხოლოდ „დილის“ სკივრიდან ამოღებული ძვირფასი მასალების ქვეშ იქნება მიწერილი!?. ეს კია, რომ ამ სკივრში კუკური გოგიაშვილმა ბევრი, ძალიან ბევრი რამ დაგვიტოვა.

დღევანდელი ბავშვების ბებიებსაც და ბაბუებსაც უთუოდ ახსოვთ, როგორ კითხულობდნენ თავიანთ პატარაობაში იმ დროს სრულიად ახალგაზრდა მოკალმის—კუკური გოგიაშვილის ჭკუის სასწავლებელ თუ ხალისიან მოთხრობებს, იგავებს, ზღაპრებს, ერთი ბეწო პიესებსა და სცენებს, ლექსებს, ლექსრებუსებს, გასართობებს...

დღევანდელი ბავშვების დედებისა და მამებისთვისაც ნაცნობი და საყვარელი იყო კუკური გოგიაშვილის ნაწერები...

ნაცნობი და საყვარელია ისინი დღევანდელი ბავშვებისთვისაც.

მაგრამ მარტო ჟურნალის ფურცლებზე არ ხვდებოდნენ თავიანთ საყვარელ კუკური ბიძიას, შემდეგ — კუკური ბაბუას, მისი მკითხველები. წლების მანძილზე სკოლებში, საზეიმო დილებზე, საზეიმო შეხვედრებზე ახარებდა ის თავისი მისვლით პატარებს...

...მაგრამ ვაი, რომ უკვე ვეღარასოდეს დავინახავთ მას პატარებს შორის ჩამდგარს, მომღიმარს, მოყვარულს, მოსაუბრეს...

თითქმის 40 წელი ემსახურა ეს მუდამ ახალგაზრდულად მოფუსფუსე, დაუზარელი, ხალისიანი კაცი ქართველ ბავშვებს. ახლა კი წავიდა... და მწარე გულისტკივილი დაუტოვა ყველას, ვისაც სხვადასხვა დროს მასთან ერთად გაუწევია ამ სამსახურის მძიმე, მაგრამ ბედნიერი ჭაპანი... და კიდევ—ქართველი მკითხველის რამდენი თაობის სინანული და გულისტკივილი წაჰყვა მას.

კეთილი იყოს მისი ხსოვნა!

კუკური გოგიაშვილი

ზაფხულში

— სად მიდიხარ ამ ზაფხულს,
თმაქოჩორა ირა?
— მე სოფელში მივდივარ
იქით შაბათ-კვირას.
სიხარულით შევძახე:
— გამარჯობათ, მთებო!
როგორა ხარ, ბაბუა,
როგორა ხარ, ბებო?
ვინახულებ მეგობრებს,
ციხე-კოშკებს მრავალს,
დავბრუნდები ჯანმრთელი
და სკოლაშიც წავალ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასაროს თავგადასავალი

ში ცხოვრობდა ,
ლად ერქვა ნაცარა,
უყვარდა ხტუნვა, ნა , დმოკლეს, ყურებტანცარას.
ბოსტანში, , არ შეგვარჩინა, გაგვცალა;
მხალი, , , შინისკენ ჩაატანცალა.
ერთ ლ მას ეწვ , უთხრა:-ინანებ ცანგალავ,
ნუ ქურდობ, ჩი, , თქვი: ცოცა არის აქ განა?-
მაგრამ ცქვიტამ მეზობელს სიტყვის თქმა როდი აცალა,
ზღარბს უპასუხა:-ვინ გკი ვს, ეკლებ ნო ბანცალავ!-
თქვა და სკენ გასწ , ცქვიტა ცანცალამ.
თურმე  პატრონი თან ლოდინმა დაღალა,
ხელში ეჭირა და ციქ ედგა პატარა;
ფეხზე შემართა , წუწკს მეტი აღარ აცალა,
გამოჰკრა, ი , მჭიქარე დაცალა.
...დაეცა, დახუჭა მივარდა ბასარა,
აუხდა ს ნათქვამი ან ნაცარას.

კ. მარქსის ს ხ. საქ. სსრ
სახელ. მუ. ფო ბ.ლ.ი.ო.ბ.ა

ქეთინო ფხოველიშვილი

ბებოს მადლი

აგვისტოა. ძალზე ცხელა. ეზოში ბევრი ლეღვის ხე დგას, ბებოს დარგული. სიცხისაგან ნაყოფი სანთლისფრად დამწიფებია და მიწაზე ტყაპა-ტყუპით ცვივა.

—ამ ლეღვს მაინც რა დაემართა, ნეტა! სულ გადაირია! ერთი მოვიცალო, რომ ჩამოვკრიფო და ჩირი გავაკეთო. იცი, შვილო, რა უებარი წამალია ხველებისათვის მაგისი ჩაი. — ამბობს ბებო და ვენახში წასასვლელად ემზადება.

მე უკვე დიდი გოგო ვარ და ბევრი რამის გაკეთება შემიძლია. ბებო რომ ვენახში ვაზის მისახედად გავისტუმრე, ლეღვის ხეზე ავედი, კალათა და ხის კავიც თან ავიყოლე; ნახევარ საათში კალათა პირთამდე გავავსე. ჩამოვედი და ლეღვის ჩირის გაკეთებას შევუდექი. მერე ამას რა დიდი ჭრელი კოვზები უნდა — ლეღვი საგულდაგულოდ დავფცქვენი, მარნიდან გამოტანილ დატოტილ ჩხირებზე ავასხი, მერე წალმით თონე ამოვაბრიალე, ცეცხლზე კრამიტის ნატეხები დავაწყე და ჩხირები თონეში ჩავაყუდე. საღამოვდებოდა, რომ ჩამტკბარ-ჩაშაქრული ჩირი უკვე ბებოს თეთრ ტოპრაკში ჩავყარე. ამ დროს ორღობეში მეზობლიანთ რძლის, ქალაქიდან სტუმრად ჩამოსული დეიდა ლიდას ხმა გავიგონე, შვილს ეძახდა; ჭიშკარში გავიხედე და ძლივს ვიცანი, რადგან თავშალში გახვეულს სახე არ უჩანდა.

— რა დაგემართათ, დეიდა ლიდა? — ვეკითხები მოკრძალებით.

— გავცივდი, შვილო, ხველება მახრჩობს, ბალიშზე თავი ვერ დამიდევს! — მითხრა წუწუნით.

— მოიცადეთ, დეიდა ლიდა, — წამოვიძახე და სახლისაკენ გავვარდი, ლეღვის ჩირი ავიღე და გამოვურბენინე, — ამის ჩაი დალიეთ და კარგად გახდებით-მეთქი.

— რა არ ვცადე და არაფერმა მიშველა, შვილო, ვითომ ახლა ეს მომარჩენს? — ცოტა უნდობლად შეხედა ჩემს რჩევას დეიდა ლიდა.

მეორე დილით, ბებო რომ წასასვლელად ემზადებოდა, დეიდა ლიდა მოგვადგა კარზე.

— ეგ რა გოგო გყოლია, ქალო, გუშინ ხველება მკლავდა, ლეღვის ჩირი გამატანა, ამის ჩაი დალიეო, მირჩია, და არ მომარჩინა ქალი!?

ვხედავ, დეიდა ლიდას სიტყვებზე ბებო წელში სწორდება და სახე უნათდება. „შენი მადლია ბებო, შენი, შენგან მაქვს ყველაფერი ნასწავლი“, ვფიქრობ გუნებაში.

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიორგი ფერეთელი

მაჯამურა

საქმეს ვერა უქნა რა
მიტომ ჭქვია .....

ბიორგი შეთეკაური

მისარითმი გამოცანა

ყველგან — მთაში, ბარში,
ტკბილად გალობს .....

ქართული ენა

ბავშვებო, ქართულ ენაში ზოგი სიტყვა ორივე მხრიდან იკითხება, მაგალითად:

დავა—ავად
ვაცი—იცავ
ნემსი—ისმენ
სილბო—ობლის
სვეტი—იტევს და სხვა.

სიტყვები შეკრიბა ჯიბო ჯიმერმა.

ფაზლები

სინამდვილეში ერთი ვარ,
ნოზრიევან მარიხია
მაგრამ სამი მაქვს სახელი.
თუ შემაკიცა, ლოდი ვარ,
ყველა იქნებით მნახველი.
ცოტა თუ შეეთბი, ემოძრაობ,
მიეფიცარ, ანდა ვირწყვი,
ხოლო თუ უფრო შეეხურდი,
მეშვიდე ცასაც მიეწვდები.

ჭიკარუ

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1927 წლიდან.
სამ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ენვერ ნიშარაძე

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამგოკაძე, ილია ანთელავა, მერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, მანანა კოზახიძე, ფელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯუარა ნადირაძე, ბიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თინვიზ ჩალაური (ამ. მდივანი), ბევი ჰიბინაძე, მანანა ხაჩიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი ფერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფილებების: 93-98-19; 93-98-17.

გადაეცა ასაწყობად 6. 05. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 07. 84 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/16. ფიზ ნაბ. ფურცელ 2,5. ტირაჟი 163000, შეკვეთა № 1258.

ყდაზე ნახატი სოფიო ჯინფარაშვილისა.

«Дила» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.

Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж 163000. Заказ № 847.

ფასი 20 კაპ.

ნ 242/121

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩხირკედელა

ნელი ოქროპირიძე

ნეტავ საით გაუწევია მხიარულ რკოს კაცუნას, რომელიც „დილის“ წინა, მე-7 ნომერში გაგაცანით!?

მიკუნტრუშებს მისი ვირუკა ტყის ბილიკებზე, მიღიღინებს ჩხირკედელა... უცებ ბალახებში გაფანტულ პანტას მოკრა თვალი, სახედრიდან ისკუპა, პანტას გემო გაუსინჯა — თაფლივით ტკბილი იყო, იფიქრა, თან წავიღებო, მაგრამ აბა რაში უნდა ჩაეყარა მწიფე ნაყოფი. მაშინ მოძებნა რკო, შუაზე გაჭრა, შიგთავსი გამოიღო, ნახევრები თოკით გადააბა და ხურჯინიც მზად იყო. ჩხირკედელამ შიგ პანტა ჩაყარა და ვირუკას აჰკიდა. ჩქარა დაიღალა ვირუკა და ჯიუტად გაჩერდა. ჩხირკედელამაც დრო იშოვა, წაბლის ხის ჩრდილში წამოგორდა და ხვრინვა ამოუშვა, არც ვირუკა ჩამორჩა პატრონს, ისიც შორიახლო ამოკოტრიალდა და დაიძინა. ხურჯინიდან მწიფე პანტა გარშემო მიმოიფანტა. სად იყო და სად არა, წაბლის ჭიანჭველები გაჩნდნენ, ზურგზე წამოიკიდეს მწიფე პანტა და შინისაკენ გაარბენინეს. აბა ამ ჭიანჭველას კარგად დააკვირდით, თავი წაბლისა აქვს, სხეული კი პატარა რკოსი და წაბლისა, რომლებიც ერთმანეთთან წებოს და წკირის საშუალებით არის შეერთებული. ხელები და ფეხები ხმელი წკირისა აქვს, ხოლო ფეხსაცმელებად შუაზე გაჭრილი რკო აცვია. თავზე წვრილი საცეცები აბია. თვალები ბრიალა აქვს და დიდი.